უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 22 0001069271

13/09/2022

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას (ს/კ: 218083222) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით.
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით№1 გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1069238 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შესახებ ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაც ია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებულ ი/ აკრედიტებუ ლი)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პროგრამის განხორციელებ ის ადგილი
ფაკულტეტის დასახელება - ბაკალავრიატი							
1	მენეჯმენტი	ქართული	0413 - მენეჯმენტის ბაკალავრი	259	აკრედიტებული	გადაწყ. N 145. 14.11.2018	ქ. გორი
2	ინფორმატიკა	ქართული	0613 - ინფორმატიკის ბაკალავრი	259	აკრედიტებული	გადაწყ. N 170. 08.10.2018	ქ. გორი
3	თავდაცვა და უსაფრთხოება	ქართული	1031 - თავდაცვა და უსაფრთხოები ს ბაკალავრი	255	აკრედიტებული	გადაწ. N 106. 19.08.2016	ქ. გორი
4	მექანიკის ინჟინერია	ქართული	0715 - ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში	260	აკრედიტებული	გადაწყ. N 187. 11.10.2019	ქ. გორი
5	ქართულ ენაში მომზადება - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	არ ენიჭება კვალიფიკაცია	60	აკრედიტებული	გადაწყ. N 34. 03.07.2017	ქ. გორი
ფაკულტეტის დასახელება - მაგისტრატურა							
1	თავდაცვის ანალიზი	ქართული	1031 - თავდაცვის ანალიზის მაგისტრი	121	აკრედიტებული	გადაწყ. N 107. 19.08.2016	ქ. გორი
2	უსაფრთხოების კვლევები	ქართული	0312 - უსაფრთხოები ს კვლევების მაგისტრი	120	აკრედიტებული	გადაწყ. N 690444. 23.06.2021	ქ. გორი
3	სახელმწიფო რესურსების მართვა	ქართული	0413 საჯარო მმართველობი ს მაგისტრი	121	აკრედიტებული	გადაწყ. N 806151. 04.08.2021	ქ. გორი